

2017-2018 წლის მეორე სემესტრში მობილობის შესახებ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე (www.students.ege.ge) რეგისტრაციის შემდეგ საბუთები უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წლის 6 თებერვლიდან 12 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე კვირის გარდა (მისამართი: თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
2. არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა დამატებით ფაკულტეტზე უნდა წარადგინონ ნახატები და ნახაზები 22.01.18 დან 31.01.18-ის ჩათვლით, 10⁰⁰ სთ-დან 16⁰⁰ სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), (მისამართი: თბილისი. კოსტავას 68, სტუ-ის პირველი კორპუსი, აუდიტორია N 306გ. საკონტაქტო ტელ: 599 514 819 თამარ ჭანტურია)

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
2. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).
3. პირად საქმეში არსებული დოკუმენტების დამოწმებული ასლები:
 - 3.1. პირველადი ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
 - 3.2. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
 - 3.3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
 - 3.4.
 - საბაკალავრო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასლი;
 - სამაგისტრო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა ბაკალავრის დიპლომის ასლი
 - სადოქტორო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა მაგისტრის დიპლომის ასლი;

შენიშვნა: დოქტორანტურაში მობილობის წესით მსურველთა ჩარიცხვა ხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

- მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განცხადებით და საჭირო თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე/პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.
- მობილობის მსურველმა, რომელიც გაეცნობა შედარების აქტს და წერილობით თანხმობას განაცხადებს სტუ-ში მობილობით გადმოსვლაზე ადმინისტრაციული და ფინანსური ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის, მინიმუმ 1/2-ის (1125ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.